პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 44 (3528)

3 მარტი, კვირა. 1968 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## მოსალოდნელია უარი

დელი, 2 მარტი. სრულიად ინდოეთის ოლიმპიური ასოციაციის პრეზიდენტმა რაჯა ბხალინდრა სინგხმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა, რომ თუ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში დაუშვებენ, ინდოეთი ოლიმპიადაში მონაწილეობას არ მიიღებს.

## ასპარეზობენ პოდუბნის მემკვიდრეები

ალმა-ათაში დაიწყო VII საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში ი. პოდუბნის ხსოვნის პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობს 73 ათლეტი 10 ქვეყნიდან. მასპინძლებს გარდა საუკეთესო ფალავანთა სახელისთვის იბრძვიან ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, ირანის, გფრ-ის, შვეციისა და იუგოსლავიის მოჭიდავეები. ალმაათელმა ვ. ბაკულინმა (უმჩატესი წონა) 2 წუთსა და 57 წამში სუფთად მოუგო ბულგარელ ჟ. ბოჟკოს. თბილისელმა მჩატე წონის ფალავანმა თ. ეგაძემ 7 წუთსა და 40 წამში ხალიჩას გააკრა ირანელი მახმუდ ჯამალ-ზადე. არ გაუმართლა ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეს ს. აგაპოვს. იგი დასაწყისში ირანელ აკბარ იადულაჰის უგებდა ქულებით, მაგრამ შეხვედრამდე 10 წამით ადრე მოდუნდა, ირანელმა იხელთა და სუფთა გამარჯვებას მიაღწია.



## ...დაამტკიცა, რომ უძლიერესია

ჟენევა, 2 მარტი. როგორც ცნობილია, ვაჟთა ერთეულების სრიალში სავალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურდა ამერიკელი ტ. ვუდი. ამ სახეობაში აღიარებული ფავორიტი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ავსტრიელი ე. დანცერი II ადგილზე იყო. ნებისმიერი პროგრამის შემდეგ სურათი შეიცვალა: დანცერი ბრწყინვალედ გამოვიდა და გაუსწრო ვუდს. ამგვარად, მან მესამედ იზეიმა დიდი გამარჯვება და კვლავ მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. დამტკიცდა ისიც, რომ გრენობლში დანცერის ამასწინანდელი მარცხი შემთხვევითი იყო. რაც შეეხება მეორე ავსტრიელს ვ. შვარცს, იგი პროფესიონალებში გადავიდა და, ბუნებრივია, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. მისი ნაბიჯი ევროპაში ასე ახსნეს: შვარცს გრენობლში იმედი გაუმართლდა, ჟენევაში იმავე წარმატების გამეორება ძალიან გაუჭირდებოდა და ამიტომ მისი გადაწყვეტილება სწორიაო.

II საპრიზო ადგილი ტ. ვუდს დარჩა. III ადგილზე გავიდა ფრანგი სპორტსმენი პ. პერა.

საბჭოთა ფიგურისტი ს. ჩეტვერუხინი სავალდებულო პროგრამის შემდეგ X ადგილზე იყო. მან ნებისმიერი პროგრამით უკეთ იასპარეზა და საბოლოოდ IX ადგილზე გავიდა.

დღეს ნაშუაღამევს ცნობილი გახდება მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა ქალთა ერთეულების სრიალში.

სურათზე: ე. დანცერი.

## უცხო ამბები

● გორკი, 1 მარტი. დღეს აქ დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება ციგურებით სწრაფრბენაში. სტარტზე გამოვიდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, სვერდლოვსკისა და სხვა ქალაქების სპორტსმენები. 500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა, ჩელიაბინსკელმა ტ. სიდოროვამ — 46,3. მასვე დარჩა გამარჯვება 1500 მეტრზე რბენაში — 2.30,2. ორი დისტანციის შემდეგ ლიდერობს სიდოროვა, რომელსაც 96,366 ქულა აქვს.

● სვერდლოვსკი, 2 მარტი. აქ დაიწყო სსრ კავშირისა და ნორვეგიის მოციგურავეთა ტრადიციული, რიგით მეათე მატჩი. 500 მეტრზე რბენაში ტოლი არ ყავდა საბჭოთა მოციგურე ე. გრიშინს, რომელმაც 40,7 აჩვენა.

● ტოკიო, 2 მარტი. ცნობილმა იაპონელმა მოციგურავემ სუძუკიმ გაიმეორა ერჰარდ კიოლერის (გფრ) მსოფლიო რეკორდი 500 მეტრზე რბენაში — 39,2. მსოფლიო რეკორდსმენი იაპონელს 0,2 წამით ჩამორჩა.

● ლოს-ანჯელოსი, 2 მარტი. სამი დიდოსტატის მატჩ-ტურნირზე დამთავრდა შტეინ — ჰორტის გუშინ გადადებული პარტია. ჩეხოსლოვაკიელმა გაიმარჯვა. ამრიგად, შტეინმა დაკარგა პრეტენდენტის საგზურის მოპოვების შანსი. კვირას შედგება ჰორტ— რეშევსკის პარტია. ჰორტი მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში მოიპოვებს პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლებას, რეშევსკის კი ყაიმიც ჰყოფნის. თუ პარტია ყაიმით დამთავრდა, სამივეს 4-4 ქულა ექნება და აქ კოეფიციენტთა ცხრილი (ტუნისის ტურნირის მიხედვით) რეშევსკის სასარგებლოდ გადაწყვეტს საქმეს.

## „განთიადის" ჩემპიონები

კრივი

ბათუმის კულტურის სახლში სამ დღეს გრძელდებოდა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირადი ჩემპიონატი კრივში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთისა და ცხინვალის საუკეთესო სპორტსმენები.

მონაწილენი სამ ჯგუფად დაიყვნენ: ჭაბუკები, 19-20 წლის მოკრივეები და ოსტატები. ჩემპიონის წოდებისთვის 80-მდე მოკრივე იბრძოდა.

როგორც ყოველთვის, თბილისელთა მთავარი მეტოქე ქუთაისის კოლექტივი იყო, მაგრამ წლეულს თავი გამოიჩინეს ბათუმელმა სპორტსმენებმაც. ამჯერად, მასპინძლებს ოთხი ჩემპიონი ჰყავთ: პოზნიაკი, ბაზალი, მოსკალიოვი და ლიბნიოვი. უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირის საუკეთესო მოკრივედ ერთხმად აღიარეს ბაზალი.

ოთხი ჩემპიონი ჰყავთ ქუთაისელებსაც. ესენი არიან: ქურციკიძე, კინწურაშვილი, ზედაშიძე და ბენიაშვილი.

ამ ბოლო ხანს რუსთაველი მოკრივეები საკმაოდ დაწინაურდნენ. ჯალიაშვილმა, ლამბრიანიდიმ და არუთინიანმა თავიანთ წონით კატეგორიებში არავის დაუთმეს პირველობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტი მედალი მოიხვეჭეს თბილისელებმა. გამარჯვებულთა შორის არიან დევდარიანი, საბაძე, მჭედლიშვილი, მაჟდინიანი, ანდრიაშვილი, მარქარიანი, მამამთავრიშვილი. განსაკუთრებული ქების ღირსია ანდრიაშვილი, რომელმაც სამივე შეხვედრა აშკარა უპირატესობით დაამთავრა.

ნაკლები შთაბეჭდილება დატოვეს სოხუმისა და ფოთის მოკრივეებმა.

კარგად უმუშავიათ ახალგაზრდა ცხინვალელ მწვრთნელს ხუბეჟიშვილს, თბილისელ ხატიაშვილს, ბათუმელ ხუდოიანს, ქუთაისელებს თორთლაძესა და ვახტანგაძეს, რუსთაველ სპორტის ოსტატ ავეტისოვს.

ასპარეზობის საუკეთესო არბიტრად ბათუმელი კვაჭანტირაძე აღიარეს.

მ. ვარდიშვილი.

* * *

მოგვყავს შეჯიბრების ტექნიკური შედეგები: ჭაბუკებში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ქურციკიძე (ქუთაისი), არუთინიანი, ჯალიაშვილი (ორივე — რუსთავი), პოზნიაკი (ბათუმი), დევდარიანი (თბილისი), კინწურაშვილი (ქუთაისი), გიორგაძე (ფოთი), საბაძე (თბილისი), პლიევი (ცხინვალი), კავსტიველშევი (სოხუმი); 19-20 წლის ჭაბუკებში: ლიბნიოვი (ბათუმი), მჭედლიშვილი, მაჟდინიანი (ორივე — თბილისი), ვახანია (ფოთი), პოლოსიანი (სოხუმი), ლამბრიანიდი (რუსთავი), ანდრიაშვილი (თბილისი); უფროსი ასაკის მოკრივეებში: ბაზალი (ბათუმი), მარქარიანი (თბილისი), გვაჯავა (სოხუმი), მოსკალიოვი (ბათუმი), ზედაშიძე, ბენიაშვილი (ორივე — ქუთაისი), მამამთავრიშვილი (თბილისი).

## სასახელო ნათლობა

შარშან ნოემბერში ვწერდით, რომ საქართველოს სპორტულ ბაზებს კიდევ ერთი ახალი ნაგებობა შეემატა — ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის ზეიმის დღეებში ჭიათურაში მწყობრში ჩადგა ახალი საცურაო აუზი წყლის გათბობით. თებერვლის დამლევს საქართველოს სპორტკავშირის გადაწყვეტილებით სწორედ აქ დაიწყო ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მოცურავეთა სამატჩო შეხვედრა. გუნდები მხოლოდ საქართველომ და სომხეთმა გამოიყვანეს, მაგრამ მონაწილეთა სიმცირე როდი იგრძნობა — ერთმანეთს გამარჯვებას 75 სპორტსმენი ეცილება. თავიდანვე დაწინაურდნენ ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეები. შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ მათ 10.067 ქულა დააგროვეს, სომხეთის მოცურავეებმა — 6.572.

ჭიათურის აუზისთვის ეს შეჯიბრება პირველი დიდი ტურნირია და ყოველი სტილით ცურვაში ნაჩვენები საუკეთესო შედეგი ამ აუზის პირველი რეკორდიცაა. ამ მხრივ პრიორიტეტი ეკუთვნის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებულს, თბილისელ სპორტის ოსტატ ლ. ოსიპოვას, რომელმაც აღნიშნული მანძილი 1 წუთსა და 9,7 წამში გაცურა. მომდევნო ადგილებზეც მისი თანაგუნდელები ო. ვილკოვა (1.14,9) და ს. კოტოვა (1.15,2) გავიდნენ.

სტუმრებიდან განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა სომხეთის გუნდის ყველაზე ახალგაზრდა მოცურავემ ა. ჯილავიანმა. ამ გოგონამ 100 მეტრი ბრასით 1 წუთსა და 22 წამში გაცურა, სომხეთის ახალი რეკორდი დაამყარა და სპორტის ოსტატის ნორმატივიც პირველად შეასრულა. მან 3,7 წამით აჯობა მასპინძელთა გუნდის წევრს მ. ზამბახიძეს. აღსანიშნავია ვ. ჩოლარიას წარმატებაც 100 მეტრზე ბრასით ცურვაში. ა. ტუტაკაევი შეჯიბრებაში არ მონაწილეობს, მაგრამ ჩოლარია მისი ღირსეული შემცვლელი გამოდგა და გამარჯვებაც დაისაკუთრა.

შეჯიბრება გრძელდება.

თ. შეყილაძე.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

* * *

ტურნირის პირველ დღეს გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები: ქალები. 100 მ. გულაღმა ცურვა — ნ. ჭუმბაძე — 1.17,4; 100 მ ბატერფლაით — რ. გოჩიტაშვილი (ორივე — საქართველო) — 1.22,1; ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით — საქართველო — 5.04,6.

ვაჟები: 100 მ თავისუფალი სტილით ცურვა — ა. არტამონოვი — 1.01,1; 100 მ გულაღმა — ა. სარქისოვი — 1.09,7; 100 მ ბატერფლაით — ლ. მამეიანი (ყველა — საქართველო) — 1.07,1; ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით — საქართველო — 4.11,5.

• • •



სურათზე: ვ. ჩოლარია ასპარეზობისას.

# ბრძოლა უშელავათო იყო



ლანჩხუთის სახალხო თეატრის შენობაში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 68 ათლეტი. უშელავათო იყო აფხაზეთისა და გარდაბნის გუნდების ბრძოლა. საბოლოოდ იმარჯვა აფხაზეთის ნაკრებმა, რომელმაც 27 საჯარიმო ქულით I ადგილი დაიკავა. გარდაბნის რაიონის გუნდმა ერთი საჯარიმო ქულით მეტი მიიღო და II ადგილზე გავიდა. III საპრიზო ადგილი წილად ხვდათ მახარაძის რაიონის წარმომადგენლებს (35).

მოგვყავს პირადი შეჯიბრების პრიზიორთა სამეულები წონითი კატეგორიების მიხედვით:

**უმჩატესი:** 1. ო. ხომერიკი (მცხეთა), 2. ზ. ხვარცკია (აფხაზეთი), 3. დ. კვიციანძე (ჭიათურა).

**მჩატე:** 1. ე. მეგრელიშვილი (გარდაბანი), 2. ა. ჯორჯიკია (აფხაზეთი), 3. ს. ბუხნიკაშვილი (ჭიათურა).

**ქვემსუბუქი:** 1. ა. ჯიქურიძე (ჭიათურა), 2. რ. მახარაძე (მახარაძე), 3. რ. კუკულაძე (ლანჩხუთი).

**მსუბუქი:** 1. გ. ძიმისტარიშვილი (ლანჩხუთი), 2. ხ. ალხაზოვი (აფხაზეთი), 3. ს. ნოლაიდელი (აჭარა).

**ქვესაშუალო:** 1. ა. ლომაძე (მახარაძე), 2. ე. დარჩია (გარდაბანი), 3. რ. თოდუა (აფხაზეთი).

**საშუალო:** 1. ვ. გარუჩავა (გარდაბანი), 2. ვ. ბერიშვილი (წითელწყარო), 3. ა. ტერტერიანი (აფხაზეთი).

**ქვემძიმე:** 1. ნ. ძიმისტარიშვილი (ლანჩხუთი), 2. დ. შავთვალაძე (აჭარა), 3. ტ. რუსიეშვილი (მახარაძე).

**მძიმე:** 1. ვ. ალავიძე (მახარაძე), 2. ნ. დოლიძე (ლანჩხუთი), 3. ზ. ხუჭუა (აფხაზეთი).

სწორედ ამ პრიზიორებიდან შეირჩევა და დაკომპლექტდება რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრები, რომელიც ერთობლივი ვარჯიშის შემდეგ ქ. ჯამბულს გაემგზავრება სოფლის ახალგაზრდობის I საკავშირო თამაშებში მონაწილეობის მისაღებად.

ლანჩხუთში სტუმრად იყვნენ ქ. ჩელიაბინსკის ათლეტები. რესპუბლიკური შეჯიბრების შემდეგ ისინი შეხვდნენ ლანჩხუთისა და მახარაძის მოჭიდავეებს. გაიმარჯვეს ქართველმა სპორტსმენებმა ანგარიშით 9,5:2,5.

**ბ. ქვირია,**
**სპორტის ოსტატი.**

# კიდევ მრავალჯერ...

შალვა მარგიანი 20 წლისა იყო, მთამსვლელობას რომ ეზიარა. ეზიარა და არც უღალატია მისთვის.

ბევრჯერ ყოფილა კლდის ქანებზე თითის წვერებით დაკიდებული, ბევრჯერ თოკზე ჩამობმულს სძინებია, ქვევიდან კი პირდაღებული ნაპრალები უსცქეროდნენ, მრავალჯერ შებმია სიკვდილს პირისპირ, მაგრამ მუდამ გამარჯვებული დარჩენილა.



შალვამ დალაშქრა კავკასიონის მწვერვალები შხარა, ულუ-თაუ, შხელდა, რუსთაველისა და შჩუროვსკის პიკები, უშბა, თეთუ-ბაში, აილამა... განსაკუთრებით „უშბის სარკის" იერიში ესახელება, რომელიც 1965 წელს დაიპყრო. მაშინ ექვსივე მონაწილეს ოქროს მედლები და სსრ კავშირის ჩემპიონობა ხვდა წილად. პირველად კი ეს საპატიო ტიტული შალვამ 1952 წელს იალტაში დაისაკუთრა მიხეილ ხერგიანთან ერთად კლდეზე წყვილთა ცოცვაში.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დღეს შალვას სპორტულ ნადავლს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ბევრი მედალი ამშვენებს. ამ ალაფშია I ხარისხის დიპლომები, ქების სიგელები, ბევრი სახსოვარი იმ უცხოელი სპორტსმენებისგან, რომლებსაც შალვამ შეადგმევინა ფეხი კავკასიონზე და შეიძლება ბევრჯერ გასაჭირისგანაც იხსნა...

ახლა სპორტის ოსტატი შალვა მარგიანი ქუთაისის ალპიური კლუბის ინსტრუქტორია. უკვე 15 წელია მას ზაფხულობით მთამსვლელობის ბანაკები იწვევენ სამუშაოდ. ამ ხნის მანძილზე მან მრავალი თანრიგოსანი მთამსვლელი აღზარდა, ხოლო მისმა მოწაფემ, ქუთაისელმა ვ. მინდაძემ საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა წყვილთა გარბენში (კლდეზე ცოცვა).

წლები მიჰქრიან, მაგრამ ვეტერანი დანებებას არ აპირებს. წინაა ბევრი მწვერვალი და კედელი. იმედია, შალვა კიდევ მრავალჯერ გაახარებს გულშემატკივრებს.

**ლ. მუსხელაძე.**

• • •

სურათზე: შ. მარგიანი.
ფოტო ავტორისა.

# თბილისიდან გორამდე

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრამ კომკავშირის კომიტეტთან ერთად მოაწყო მაღალმთიანი ტურისტული ლაშქრობა, რომელიც საბჭოთა არმიის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ლაშქრობაში ათი ქალი და ვაჟი მონაწილეობდა. გზად მათ ნახეს მხედართმთავრის გიორგი სააკაძის ისტორიული ბრძოლების ადგილები, დაათვალიერეს ნოსტეს ციხესიმაგრე. თუ თბილისელები ამ დღეებში გაზაფხულის სუნთქვას გრძნობდნენ, ლაშქრობის მონაწილენი ღრმა თოვლში მიიკვლევდნენ გზას. ღამე სტუდენტებმა ჯერ ბეთანიაში გაათიეს, შემდეგ კი მანგლისში.

ტურისტებს სტუმართმოყვრულად შეხვდნენ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები.

საინტერესო ლაშქრობას ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის ლაბორანტი ბ. ნიკურაძე. სტუდენტებს ახლდა გამოცდილი ტურისტი ო. გოჩიაშვილი.

**ლ. დიაელი.**

# ფინალში გავიდნენ

საჭადრაკო-სამაშო კლუბ „სინათლეში" დამთავრდა თბილისის „მცირე" ჩემპიონატი 100-უჯრიან შაშში. შეჯიბრებაში 18 კაცი მონაწილეობდა.

თბილისის „დიდ" პირველობაში თამაშის უფლება მოიპოვეს დ. მინასიანმა (13,5 ქულა), ნ. ხუციშვილმა, დ. ამირხანოვმა (13-13), ა. ჩარგეიშვილმა, ს. თომაშვილმა (12-12), ვ. კანდელაკმა (10,5), ე. ერვანდიანმა (10), ნ. ძამუნაშვილმა, ჯ. კარმაზიანმა (9,5-9,5). ამ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ოსტატები თ. ბარამიძე, ს. საგიევი, გ. ჩატულიდი, ოსტატობის კანდიდატები ი. სპესივცევი და ვ. ბახტაძე.

**ს. პახლაჯიანი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი,**
**სპორტის ოსტატი.**

წერილმა გვიბიძგა...

# ამბავი ნაბოძები ტიტულისა

ენგურჰესის გრანდიოზული მშენებლობა რამდენიმე ათეულ კილომეტრზეა გაშლილი. კიდევ რამდენიმე წელი და მთებს შუა ალივლივდება ვეება წყალსაცავი, მზად იქნება მსოფლიოში უდიდესი თაღოვანი კაშხალი. მოთვინიერებული ენგური საკმაოდ დიდ გვირაბს გაივლის და პირველ ჩირაღდანს აკიაფებს საბერიოში.

... „ვოლგა" რუხის ციხეს გასცდა. თოვლიანი მთების ფერდობებზე გაწოლილა ერისწყლისკენ მიმავალი გზა. აქ გვირაბგამყვანები შრომობენ. მათ სულ ახლახან იზეიმეს საპირისპირო გვირაბების ვადამდე შეერთება. შრომაში სახელმოხვეჭილნი არც სპორტში შეირცხვენდნენ თავს. მაგრამ... ყურადღებას არავინ გვაქცევსო. გვწერდნენ ამას წინათ მშენებლები. სწორედ მათი საყვედურის გამო ჩავედით ერისწყალში, სადაც გვირაბმშენთა სამმართველო და მუშათა დასახლების მთავარი უბანია.

— ძალიან გვიჭირს. ამ მთებში, აბა რა ბაზები უნდა მოვაწყოთ? — შემოგვჩივლეს მასპინძლებმა.

მაგრამ, ჩვენი აზრით, მიზეზი მხოლოდ ეს არ შეიძლება იყოს. მთავარია საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ამ გულგრილობას სათავე ენგურჰესის მშენებლობის პირველ დღეებშივე დაედო. გვირაბმშენთა სამმართველომ არ შეასრულა ზემდგომი ორგანოების დადგენილება და ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტის შტატი არ გამოიყენა. ეს საქმე თავიდანვე შემთხვევითი ხალხისთვის მიუნდვიათ.

გულგრილობას მალე სათანადო შედეგიც მოჰყვა. ხალხმრავალ კოლექტივში სრულიად ჩაშლილია ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა, არა აქვთ ფიზკულტურის საბჭო, არ მუშაობს სპორტული სექციები და გამაჯანსაღებელი ჯგუფები, მშენებელთა სპარტაკიადაში მონაწილე გუნდების შედგენას გვირაბმშენებლები თურმე შეჯიბრებამდე სამი-ოთხი დღით ადრე იწყებენ.

ზუგდიდის „განთიადის" საბჭოში გაგზავნილ ოფიციალურ „საბუთს" თუ დავუჯერებთ, გვირაბმშენებელთა შორის ფიზკულტურელებიც არიან და „განთიადის" წევრებიც, შექმნილია სექციები სპორტის თვრამეტ (!) სახეობაში. მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც მოგახსენეთ, სინამდვილეს არ შეეფერება.

ამ უკანასკნელად ფიზკულტურის ინსტრუქტორის „ტიტული" მუშა ვ. ალავიძისთვის უბოძებიათ. ორიოდე თვის წინათ ალავიძეს თვითნებურად მიუტოვებია სამუშაო. სხვათა შორის, უკვალოდ გამქრალა ასეული მანეთის სპორტული ფორმა და ინვენტარიც.

— რატომ დაავალეთ მუშას ინსტრუქტორობა? — ვიკითხეთ სამმართველოში.

სპეციალისტი არ გვყავდაო, გვიპასუხეს.

— მოითხოვეთ?

ამ შეკითხვას პასუხად დუმილი მოჰყვა.

არა გვგონია, რომ გვირაბმშენებელთა საყვედურები ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოში ჩვენზე ადრე არ გაეგონოთ. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდების გულისტკივილი იქ სერიოზული მსჯელობის საგნად ჯერ არ ქცეულა. კომკავშირის კომიტეტს მხოლოდ ერთხელ განუხილავს სპორტული ბაზების საკითხი და ისიც ზერელედ.

სხვათა შორის, ზემდგომმა ორგანოებმა გვირაბმშენებლებს ღია და დახურული სპორტული ბაზების, აგრეთვე, საცურაო აუზის მოწყობა ამ რამდენიმე წლის წინ დაავალეს. გაკეთებით, როგორც ხედავთ, არაფერი გაკეთებულა.

— ოლორის დასახლების სპორტის მოყვარულები უფრო დიდ გასაჭირში არიან, — გვითხრა მძღოლმა მ. ჭკადუამ. — ერთი სპორტმოედანიც არა გვაქვს. ჭადრაკის კომპლექტი და ჩოგბურთის მაგიდა კლუბშია გამოკეტილი, რომელსაც კინოს დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე აღებენ.

... გვიან საღამოს, ავტობუსით ზუგდიდში რომ ვბრუნდებოდი, ერთი ახალგაზრდა მუშა დამემგზავრა. იგი გატაცებით მიყვებოდა ენგურჰესის მშენებლობის ამბავს. ვიგრძენი, გულით ემაყებოდა საქმე, რომელსაც მეგობრებთან ერთად აკეთებს.

ამ მუშურ სიამაყეს ჩრდილი არ შეშვენის.

**თ. გაჩეჩილაძე.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**
ენგურჰესის მშენებლობა.



**მოტოსპორტს ზუგდიდში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. სექციაში, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი, სპორტის ოსტატი ო. ჯაბუა ხელმძღვანელობს, მძღოლები და მექანიკოსები არიან გაერთიანებული. ისინი გულმოდგინედ ემზადებიან წლევანდელი შეჯიბრებებისთვის.**

• • •

**სურათზე: ჯაბუა (მარცხნივ) სავარჯიშოდ გასვლის წინ მითითებებს აძლევს ს. სევერიანსკისა და ე. შონიას.**

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

ბიბლიოთეკა

## თბილისი

ოქტომბრის რაიონის დოსააფის თაოსნობით გაიმართა საბჭოთა არმიის იუბილესადმი მიძღვნილი ერთთვიური, რომლის პროგრამაშიც შედიოდა ლექცია-მოხსენებები, საუბრები, შეხვედრები, შეჯიბრებები. მაგალითად, „ცოდნის" რაიონულმა განყოფილებამ პოლიტიკური განათლების კაბინეტში მოაწყო მშრომელთა შეხვედრა სამამულო ომის მონაწილეებთან, ჩატარდა რაიონული შეჯიბრება რადიოგრამების მიღება-გადაცემაში, ტყვიის მსროლელთა ტურნირი და სხვ. ერთთვიურის დღეებში ასამდე სპორტსმენმა შეასრულა სათანრიგო ნორმატივები.

**ვ. კაკაურიძე,**
**დოსააფის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.**

## ბათუმი

„სპარტაკის" საცურაო აუზში ახლახან დამთავრდა ქალაქის პირველობა წყალბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1949-50 წლებში დაბადებულნი. ფინალში „განთიადის" წყალბურთელებმა დიდი ანგარიშით (7:0) დაამარცხეს დინამოელები და I ადგილზე გავიდნენ. III ადგილზეა სპორტსკოლის კოლექტივი.

**ო. მურვანიძე.**

## თერჯოლა

გაიმართა რაიონის პირველობა ქართულ ჭიდაობაში. I ადგილზე გავიდა „კოლმეურნის" ნაკრები (მწვრთნელი შ. ქავთარაძე). წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზ. რობაქიძე (თერჯოლის საშუალო სკოლა), ნ. კახიძე (სპორტსკოლა), შ. ქავთარაძე, თ. სოფრომაძე, ტ. მემანიშვილი და რ. ობოლაძე (ყველა — „კოლმეურნე").

**ვ. კუჭალაძე.**

• • •

რაიონის საშუალო სკოლების მოშაშეთა გუნდურ პირველობაში ყველას აჯობეს ნახშირღელისა და ზედა სიმონეთის მოსწავლეებმა. III ადგილი ხვდა ჩხარის საშუალო სკოლის გუნდს.

• • •

დოსააფის რაიონულმა კომიტეტმა გამართა პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. ტურნირი მიეძღვნა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების 50 წლისთავს. გუნდური I ადგილი დაიკავა თერჯოლის საშუალო სკოლამ, II ადგილზე გავიდა ზედა სიმონეთის, III — ნახშირღელის საშუალო სკოლის გუნდი.

**ლ. ჯიშიაშვილი.**

## ზესტაფონი

შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის მოჭადრაკეთა და მოშაშეთა პირველობაში გაიმარჯვა ე. მუშკუდიანმა.

**ა. განუგრავა.**

## ცხაკაია

აქ დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში 42 მოსწავლე მონაწილეობდა. ჭაბუკებში რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა თ. ლომაიამ, გოგონებში — ც. სორდიამ.

• • •

გაიმართა ჩოხატაურისა და ცხაკაიას სკოლა-ინტერნატების ფრენბურთელთა შეხვედრა. გოგონათა გუნდებში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0, ჭაბუკებში — სტუმრებმა — 2:1. ეს მატჩები გაიმართა სკოლა-ინტერნატების რესპუბლიკური პირველობის პროგრამით.

**ე. გუგუნავა.**

## გურჯაანი

ველისციხის № 13 სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მოაწყო ტურისტული ლაშქრობა, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავსა და სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" 25 წლისთავს მიეძღვნა. ლაშქრობაში 300-ზე მეტი ფიზკულტურელი მონაწილეობდა.

**ა. ჯალაღანია,**
**ფიზკულტურის ინსტრუქტორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშენებელთა პირობა: ვადამდე!

ქუთაისში მეორე წელია შენდება კომპლექსური საცურაო აუზი, რომელიც სსრ კავშირში რიგით მესამე იქნება. მშენებლობა გეგმით 1969 წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მე-4 სამშენებლო ტრესტის მე-9 სამმართველოს მშენებლებმა ივალდებულეს აუზი ამ შემოდგომით გადასცენ საექსპლოატაციოდ.

ხამუშაოთა მწარმოებელ გელა ასათიანთან ერთად ვათვალიერებთ მშენებლობას. პირველი აუზის (სიგრძე 50, სიგანე — 40 მეტრი) ბეტონის სამუშაოები მთლიანად დამთავრებულია (იგი მოცურავეებისთვისაა განკუთვნილი). მეორე აუზი (სიგრძე 25, სიგანე — 20, სიღრმე 6 მეტრი) წყალში მხტომელებს დაეთმობათ.

ვარაუდობენ, რომ პირველი აუზი მარტის დასასრულისთვის, მეორე კი სამაისოდ იქნება მზად. აღებული ვალდებულებების შესრულებისთვის მონდომებით შრომობენ მშენებლები გ. თაგვაძე, შ. ნიქაბაძე, მ. შუბითიძე, რ. კუხიანიძე, ჟ. სურგულაძე და სხვ.

რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყებენ სამოსწავლო აუზის მშენებლობას.

უკვე აიგო ტექნიკური კორპუსი, სადაც აუზებში წყლის დონისა და ტემპერატურის რეგულირება მოხდება, აქვე მოეწყობა გასახდელები, შხაპები.

ახალ, კეთილმოწყობილ აუზში შეიძლება ჩატარდეს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.



# თამაშობენ ჩვენი გუნდები

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარი უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის. ფეხბურთის მოყვარულთა საორიენტაციოდ მოგვყავს საქართველოს გუნდების — თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შეხვედრათა განრიგი ორივე წრისთვის:

## აპრილი

1. „ტორპედო" ქ. — „დინამო" კ.
6. „დინამო" თბ. — „სპარტაკი", „ტორპედო" ქ. — „ტორპედო" მ.
10. „დინამო" თბ. — „ლოკომოტივი", „ტორპედო" ქ. — „კრ. სოვეტოვი".
17. ასკ (როსტოვი) — „დინამო" თბ., „ტორპედო" ქ. — „არარატი".
21. „დინამო" თბ. — „ტორპედო" ქ.
28. „ნეფტიანიკი" — „დინამო" თბ., „სპარტაკი" — „ტორპედო" ქ.

## მაისი

2. „დინამო" თბ. — „დინამო" (კიროვაბადი).
4. „ლოკომოტივი" — „ტორპედო" ქ.
9. „არარატი" — „დინამო" თბ., „ტორპედო" ქ. — ასკ (როსტოვი).
16. „დინამო" თბ. — „ზარია", „ტორპედო" ქ. — „ნეფტიანიკი".
20. „დინამო" თბ. — „შახტიორი", „დინამო" კრ. — „ტორპედო" ქ.
28. „კაირატი" — „დინამო" თბ., „ზარია" — „ტორპედო" ქ.

## ივნისი

1. „შახტიორი" — „ტორპედო" ქ., „პახტაკორი" — „დინამო" თბ.
8. „დინამო" თბ. — „დინამო" მ., „ტორპედო" ქ. — „არარატი".
12. „დინამო" თბ. — ცსკა, „ტორპედო" ქ. — „პახტაკორი".
19. „დინამო" მ. — „ტორპედო" ქ.
20. „დინამო" მნ. — „დინამო" თბ.
24. „ზენიტი" — „დინამო" თბ.
25. ცსკა — „ტორპედო" ქ.

## ივლისი

3. „დინამო" თბ. — „დინამო" კ., „ტორპედო" ქ. — „დინამო" მნ.
7. „დინამო" თბ. — „ჩერნომორეცი", „ტორპედო" ქ. — „ზენიტი".
14. „ჩერნომორეცი" — „ტორპედო" ქ.
15. „ტორპედო" მ. — „დინამო" თბ.
18. „დინამო" კ. — „ტორპედო" ქ.
19. „კრ. სოვეტოვი" — „დინამო" თბ.

## II წრე

## ივლისი

27. „დინამო" თბ. — ასკ (როსტოვი), „არარატი" — „ტორპედო" ქ.
31. „ტორპედო" ქ. — „დინამო" თბ.

## აგვისტო

10. „დინამო" თბ. — „ნეფტიანიკი", „ტორპედო" ქ. — „სპარტაკი".
14. „დინამო" კრ. — „დინამო" თბ., „ტორპედო" ქ. — „ლოკომოტივი".
22. „დინამო" თბ. — „არარატი", ასკ (როსტოვი) — „ტორპედო" ქ.
31. „ტორპედო" მ. — „ტორპედო" ქ.

## სექტემბერი

4. „სპარტაკი" — „დინამო" თბ.
5. „კრ. სოვეტოვი" — „ტორპედო" ქ.
8. „ლოკომოტივი" — „დინამო" თბ.
12. „ტორპედო" ქ. — „დინამო" კრ.
13. „შახტიორი" — „დინამო" თბ.
16. „ნეფტიანიკი" — „ტორპედო" ქ.
17. „ზარია" — „დინამო" თბ.
23. „დინამო" თბ. — „კაირატი", „ტორპედო" ქ. — „შახტიორი".
27. „დინამო" თბ. — „პახტაკორი", „ტორპედო" ქ. — „ზარია".

## ოქტომბერი

6. ცსკა — „დინამო" თბ., „პახტაკორი" — „ტორპედო" ქ.
10. „კაირატი" — „ტორპედო" ქ.
11. „დინამო" მ. — „დინამო" თბ.
17. „ტორპედო" ქ. — „დინამო" მ.
18. „დინამო" თბ. — „დინამო" მნ.
21. „ტორპედო" ქ. — ცსკა.
22. „დინამო" თბ. — „ზენიტი".
30. „დინამო" კ. — „დინამო" თბ., „დინამო" მნ. — „ტორპედო" ქ.

## ნოემბერი

3. „ჩერნომორეცი" — „დინამო" თბ., „ზენიტი" — „ტორპედო" ქ.
8. „დინამო" თბ. — „ტორპედო" მ., „ტორპედო" ქ. — „ჩერნომორეცი".
12. „დინამო" თბ. — „კრ. სოვეტოვი".

სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩები შედგება 27-28 ივნისს, ხოლო 22-23 ივლისს — მერვედფინალური მატჩები.

6 აგვისტოს თასზე ერთმანეთს შეხვდებიან მეოთხედფინალის მონაწილენი, 26-27 აგვისტოს შედგება ნახევარფინალები, ხოლო 8 ნოემბერს — თასის ფინალური მატჩი.



ეს სურათი გადაღებულია ამას წინათ შვეციაში, სადაც ნ. გაფრინდაშვილი გეტებორგის ვაჟთა საახალწლო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა. თავისუფალ დროს მსოფლიო ჩემპიონი ეწვია ძველ ნაცნობებს — სტოკჰოლმის ტრანსპორტის მუშაკებს. მასპინძლებმა კვლავ ათამაშეს ნონა ვეებერთელა ჭადრაკით, რომლის თვითეული ფიგურა სიმაღლით 40-50 სანტიმეტრია. თუ პირველად მეტოქეთაგან თვითეულს პარტიის სათამაშოდ 30-30 წუთი მიეცა, ამჯერად მათ მხოლოდ 7-7 წუთი დაუთმეს. როგორც ხედავთ, მსოფლიო ჩემპიონი დიდ გაწამაწიაშია. და მაინც მან ეს შეხვედრაც მოიგო.

საკდესის ფოტოქრონიკა.

# ნონა და ალა ერთად...

მსოფლიო პირველობაზე მატჩის წინ მომავალი მეტოქეები ჩვეულებრივ თავს არიდებენ ტურნირში ერთად თამაშს. სწორედ ამიტომ იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს 8 მარტისადმი მიძღვნილი ბელგრადის ქალთა IV ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და მისი მეტოქე ა. კუშნირი მონაწილეობენ.

როგორც ცნობილია, გაფრინდაშვილი — კუშნირის მატჩი წლეულს სექტემბერში შედგება. მეტოქეები კარგა ხანია შეუდგნენ მზადებას ამ შეხვედრისთვის. მათ საწვრთნელ გეგმაში ტურნირებში მონაწილეობაცაა გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, საჭადრაკო წრეებში მომავალ მეტოქეთა ერთად თამაში აუცილებლად როდი მიაჩნიათ. მსოფლიო ჩემპიონის III ადგილი გეტებორგის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში კუშნირისთვის საკმაოდ უსიამოვნო ფაქტიაო, ამბობენ გაფრინდაშვილის მეგობრები. მაგრამ თვით ნონა სხვაგვარად ფიქრობს. მას უყვარს თამაში მაღალი რანგის მოჭადრაკესთან, თუნდაც ეს მოჭადრაკე მისი „დაუძინებელი მტერი" იყოს. კუშნირთან პირისპირ, ბრძოლის ველზე შეხვედრა ნონას ყველაზე მართალ და მიმზიდველ ბრძოლად მიაჩნია.

ბელგრადის ქალთა საიუბილეო ტურნირს დასაბამი 1965 წელს მიეცა. იმ შეჯიბრებაში ჩვენს მოჭადრაკეებს არ უთამაშიათ. მაშინ გაიმარჯვა უნგრელმა ოსტატმა ე. ბილეკმა (ცნობილი დიდოსტატის ი. ბილეკის მეუღლე).

II ტურნირში, 1966 წელს, იუგოსლავიელებმა ნ. გაფრინდაშვილი მიიწვიეს. ნონა თამაშის დაწყებამდე მხოლოდ რამდენიმე საათის წინ ჩავიდა ბელგრადს და იმავე დღეს წააგო ლაზარევიჩთან. შემდგომ მან დიდი ტემპი განავითარა და ერთპიროვნულ ლიდერს, რუმინელ ა. ნიკოლაუსაც დაეწია. ვინ გავიდოდა I ადგილზე, მათ შეხვედრაში უნდა გადაწყვეტილიყო. ნიკოლაუმ სიცილიურ დაცვაში მსოფლიო ჩემპიონის წინააღმდეგ ნისივე საყვარელი ვარიანტი გამოიყენა. გაფრინდაშვილმა ვერაფერი გააწყო და წააგო. მაგრამ დამარცხებას ვერც ნიკოლაუ გადაურჩა. საბოლოოდ მათ I-II ადგილები გაიყვეს.

1967 წელს, III ტურნირზე ბელგრადს ნ. გაფრინდაშვილი და ტ. ზატულოვსკაია გაემგზავრნენ. სტარტზე მსოფლიო ჩემპიონმა უხეში შეცდომა დაუშვა და ზატულოვსკაიასთან წააგო. შემდგომ მან სცადა ლიდერს დასწეოდა, მაგრამ ამაოდ: ნონა II ადგილზე გავიდა.

ბელგრადის ტურნირებში მუდამ გამოჩენილი ოსტატები თამაშობდნენ. მასპინძლებმა IV ტურნირშიც ევროპის უძლიერესი მოჭადრაკეები მიიწვიეს, თავად კი ცნობილი საერთაშორისო ოსტატები — ვ. ნედელკოვიჩი, მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩი და კ. იოვანოვიჩი გამოჰყავთ სარბიელზე.

იუგოსლავიის სპორტული გაზეთები წერენ, რომ გაფრინდაშვილისა და კუშნირის მონაწილეობა ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს წლევანდელ ტურნირს. პროგნოზების მოყვარულნი თავს იკავებენ, თუმცა იმას კი აღნიშნავენ, ჭადრაკის მოტრფიალეთ დიდი სიამოვნება ელითო.

თ. გიორგაძე.

# ჯერ იუნიორები ჩემპიონები

გრენობლში ჩვენი მოთხილამურეები ყველაზე უკეთ ზამთრის თანამედროვე ორჭიდში (ბიატლონი) გამოვიდნენ: პირად პირველობაში ა. ტიხონოვმა და რ. გუნდარცევმა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, გუნდურ ტურნირში კი (ესტაფეტა 4×7,5 კმ) სსრ კავშირის კვარტეტმა (ტიხონოვი, გუნდარცევი, ნ. პუზანოვი, ვ. მამატოვი) „ოქრო" დაისაკუთრა.

საბჭოთა ბიატლონისტებმა გუშინწინ შვეციის ქალაქ ლულეოშიც ისახელეს თავი, სადაც იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. მათ პირველობა მოიპოვეს ესტაფეტაში 3×7,5 კილომეტრზე. სსრ კავშირის იუნიორთა წარმატებაში ახლაც ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა ა. ტიხონოვმა, რომელმაც თანაგუნდელებთან — ი. კრაკოსევიჩთან და ა. პრიცკერთან ერთად საბოლოოდ 1:23.00,6 აჩვენა. ვერცხლის პრიზიორი — ფინეთის გუნდი ფინიშთან 9 წუთითა და 0,7 წამით გვიან მივიდა. III ადგილი წილად ხვდა გდრ-ის ტრიოს— 1:34.16,0.

# დავიცავთ ძვირფას მონაპოვარს

სცენის სიღრმეში საბჭოთა კავშირის, საქართველოს, არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დროშები ფრიალებს. თბილისის ოფიცერთა სახლის დარბაზი წვევამდელი ახალგაზრდებითაა სავსე. ისინი ტაშით ეგებებიან რევოლუციისა და საბჭოთა არმიის ვეტერანებს.

ეს შეხვედრა, რომელიც საბჭოთა შეიარაღებული ძალების 50 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 47 წლისთავს მიეძღვნა, დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტისა და თბილისის ოფიცერთა სახლის თაოსნობით მოეწყო.

საბჭოთა არმიის ვეტერანთა თბილისის სექციის თავმჯდომარე, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა ორ სახელოვან იუბილეს ულოცავს შეკრებილთ და სიტყვას აძლევს ლეგენდარული მე-11 არმიის ვეტერანს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის აქტიურ მებრძოლს შ. ცაგარეიშვილს, რომელიც 1917 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრია. ახალგაზრდები უსმენენ ამაგდარ კაცს. ცაგარეიშვილმა სიამაყით მოიგონა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე, ილაპარაკა მე-11 არმიის გმირობაზე.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის გმირს, ს. კოვპაკის პარტიზანული შენაერთის წევრს დ. ბაქრაძეს. პოლკის ყოფილ მეთაურს კარგად იცნობს ჩვენი ახალგაზრდობა, როგორც მწერალს, ამ შენაერთის ცხოვრების თავისებურ მემატიანეს. მან ბევრი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა პარტიზანების ცხოვრებიდან.

შემდეგ გამოვიდნენ სამამულო ომის ვეტერანი, გადამდგარი გენერალ-მაიორი გ. მიქელაძე, გადამდგარი კონტრადმირალი მ. ჯინჭარაძე. ახალგაზრდების სახელით ილაპარაკა წვევამდელმა ვ. ინაურმა.

— ვფიცავთ, რომ მტკიცედ დავიცავთ მამათა მონაპოვარს, არავის მივცემთ მშობლიური მიწა-წყლის ხელყოფის ნებას. თუ ეს საჭირო იქნება, სიცოცხლესაც უყოყმანოდ გავწირავთ სამშობლოს დღეგრძელობისთვის, — თქვა მან თანატოლთა სათქმელი.

საღამო კონცერტით დამთავრდა.

ვ. თენგოშვილი.

# მ. ხურცილავა — ევროპის ნაკრებში

Nr 43 (778) 26 PAŹDZIERNIKA 1967 CENA 2,50 Zł
SPORTOWIEC


ბენქსი


გემელი


მური


ხურცილავა


ფაკეტი


ბეკენბაუერი


ალბერტი


ბ. ჩარლტონი


ჯონსტონი


ეუსებიო


ფარკაში

პოლონური სპორტული ჟურნალი „სპორტოვეცი“ ყოველ წელს აწყობს დიდ საერთაშორისო კონკურსს ევროპის მასშტაბით ფეხბურთის გამოჩენილ სპეციალისტთა და ჟურნალისტთა შორის. კონკურსს მხოლოდ ერთი შეკითხვა აქვს: დაასახელეთ ევროპის ნაკრები.

ამ კონკურსს „სპორტოვეცი“ 1959 წლიდან ატარებს. ჟურნალმა 1967 წლის ევროპის ნაკრები შეადგინა სისტემით 1+4+3+3. გუნდში მოხვდნენ კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელები და მათ შორის მარცხენა ცენტრალური მცველის პოსტზე ვხედავთ თბილისის „დინამოს“ მოთამაშეს მურთაზ ხურცილავას.

აი, როგორ გამოიყურება ევროპის ნაკრები ხმათა გამოთვლის შემდეგ: მეკარე — **გორდონ ბენქსი** (28 წლის, თამაშობს ინგლისის „სტოკ-სიტიში“); დაცვა — **ტომ გემელი** (26 წლის, თამაშობს შოტლანდიის „სელტიკში“), **ბობი მური** (26 წლის, თამაშობს ინგლისის „ვესტ ჰემ იუნაიტედში“), **მურთაზ ხურცილავა** (24 წლის, თამაშობს თბილისის „დინამოში“), **ჯიაცინტო ფაკეტი** (26 წლის, თამაშობს იტალიის „ინტერნაციონალეში“);

ნახევარდაცვა — **ფრანც ბეკენბაუერი** (23 წლის, თამაშობს მიუნხენის „ბაერნში“, გფრ), **ფლორიან ალბერტი** (27 წლის, თამაშობს უნგრეთის „ფერენცვაროშში“), **ბობი ჩარლტონი** (30 წლის, თამაშობს ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში“);

თავდასხმა — **ჯიმ ჯონსტონი** (26 წლის, თამაშობს შოტლანდიის „სელტიკში“), **ეუსებიო** (25 წლის, თამაშობს პორტუგალიის „ბენფიკაში“), **იანოშ ფარკაში** (25 წლის, თამაშობს ბუდაპეშტის „ვაშაში“, უნგრეთი).

საინტერესოა, რომ 1959 წლიდან მოყოლებული „სპორტოვეცის“ მიერ შედგენილ ევროპის ნაკრებში საბჭოთა ფეხბურთელთაგან მოხვედრილან მხოლოდ ი. ვოინოვი, ვ. ვორონინი (ორჯერ) და ლ. იაშინი (ხუთჯერ).

# ლიდერთა მორიგი შეცვლა

**ლენინგრადი, 1 მარტი.** კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ლიდერთა მორიგი შეცვლა მოხდა. ამჯერად „დამნაშავე“ გამოდგა ადგილობრივი „სპარტაკი“, რომელიც რიგის არმიელთა კოლექტივს მასპინძლობდა. ლატვიელები პირველად არ ხვდებიან „სპარტაკს“ — მეზობლები ერთმანეთის ხშირი სტუმრები არიან, მაგრამ ამ სტუმრობით ლენინგრადელები მეტჯერ იყვნენ უკმაყოფილო. დღევანდელი დღე გამონაკლისი აღმოჩნდა: „სპარტაკმა“ გაიმარჯვა (71:65) და სატურნირო ცხრილს თავში მოექცა.

**კაუნასი, 1 მარტი.** ადგილობრივმა „ჟალგირისმა“ მიიღო ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი, ბაქოს „ნეფტიანიკი“. მასპინძლების უპირატესობა ორივე მატჩში აშკარა იყო. „ჟალგირისმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 93:71 (46:31) და 79:65 (44:30).

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 25 | 18 | 7 | 1812—1687 | 18 |
| ასკ (კიევი) | 26 | 18 | 8 | 1844—1698 | 18 |
| „დინამო“ (თბილისი) | 24 | 16 | 8 | 1787—1654 | 16 |
| ცსკა | 26 | 15 | 11 | 1633—1588 | 15 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 24 | 14 | 10 | 1600—1569 | 14 |
| ვეფ (რიგა) | 26 | 14 | 12 | 1869—1819 | 14 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 26 | 14 | 12 | 1874—1825 | 14 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 24 | 13 | 11 | 1585—1541 | 13 |
| ასკ (რიგა) | 25 | 11 | 14 | 1803—1807 | 11 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 24 | 11 | 13 | 1558—1526 | 11 |
| „ბურევესტნიკი“ (ბაქო) | 28 | 4 | 24 | 2031—2383 | 4 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 24 | 3 | 21 | 1619—1878 | 3 |

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# განაჩენი, რომელსაც ვიმსახურებთ

„დინამო“ და „ბურევესტნიკი“, „დინამო“ თუ „ბურევესტნიკი“...

ეს ორი განსხვავებული პრობლემა ჩვენს კალათბურთში არსებობს იმ დღიდან, რაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (იგივე „ბურევესტნიკი“) სტუდენტებმა „ა“ კლასის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

რას წარმოადგენს თვითეული ამ პრობლემათაგანი?

„დინამო“ და „ბურევესტნიკი“. ეს პირველ ყოვლისა, ქართული კალათბურთის დიდ გამარჯვებას ნიშნავს. ერთმანეთის გვერდით დადგა ორი პირველხარისხოვანი შემოქმედებითი კოლექტივი. ტრადიცია, გამოცდილება და შინაგანი ძალა, ერთის მხრივ, ახალგაზრდობა, მონდომება და, აქედან გამომდინარე, კალათბურთის უსაზღვრო სიყვარული, მეორეს მხრივ. ასეთი მარაგით, ასეთი ტვირთით გაუყვნენ კეთილი მეზობლები მომქანცველ აღმართს, რომლის ბოლოშიც კალათბურთის ოლიმპოა. ამ გზას ბევრი მგზავრი ჰყავს. „დინამოს“ ისინი მოწიწებითა და ერთგვარი შიშით შეჰყურებდნენ (ასეთია ტრადიციის ძალა), „ბურევესტნიკს“, როგორც უძლიერესთა დუეინის ახალ წევრს — შემწყნარებლურად (ესეც ტრადიციის თანახმად). ასეთი იყო ცხოვრების ლოგიკა იმ პერიოდში.

„დინამო“ თუ „ბურევესტნიკი“. ეს პრობლემა უფრო ნაგვიანევია, მაგრამ ასევე კანონზომიერი. ახალბედამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი უძლიერესთა ოჯახში. ახლა უკვე ალარავის ჰქონდა შიში იმისა, რომ „ბურევესტნიკი“ დათმობდა ბრძოლითა და ოფლით მონაპოვარ უფლებას. დღის წესრიგში დადგა პრესტიჟის საკითხი. გუნდმა, სავსებით სამართლიანად, სატურნირო იერარქიის ზედა საფეხურს გადახედა. ამ დროს იგი, როგორც ყველა მზარდი და პერსპექტიული კოლექტივი, უკეთეს მომავალზე ფიქრობდა და მიაღწია კიდეც საწადელს. „ბურევესტნიკი“ დღეს „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის მკვიდრი ბინადარია.

**რეპლიკის მაგიერ**

მაგრამ მოხდა საოცარი რამ: გუნდმა თავისი წარმატების ზენიტში თვისობრივად იცვალა სახე და ბევრი ისეთი ნიშანი დაკარგა, რაც ადრე მისი პროგრესის განმსაზღვრელი იყო. ამ უსიამოვნო პროცესის რეციდივები ადრეც შეიმჩნეოდა, 28 თებერვალს კი მან დასრულებული ფორმა მიიღო.

„ბურევესტნიკს“, როგორც სპორტულ კოლექტივს, ბუნებრივია აქვს სურვილი უძლიერესად იწოდებოდეს. ადრე იგი „დინამოსგან“ სწავლობდა. ახლა კი თვლის, რომ შეუძლია სხვას ასწავლოს. ესეც დასაშვებია, რადგან „დინამოს“ შემადგენლობა საგრძნობლად გადახალისდა, „ბურევესტნიკის“ ახალგაზრდები კი უკვე ვეტერანები გახდნენ. ის ფაქტი, რომ თანაქალაქელთა შორის უკომპრომისო ბრძოლამ ტრადიციის ხასიათი მიიღო, ჩვენი კალათბურთის სიჯანსაღესა და ობიექტურობაზე მეტყველებს. დაე, უძლიერესი პატიოსანმა სპორტულმა პაექრობამ გამოავლინოს.

მაგრამ, საქმე ისაა, რომ ბოლო ხანებში „ჰეგემონიისათვის“ ბრძოლა მეტად არაჯანსაღ ვითარებაში სწარმოებს. 28 თებერვლის ინციდენტი კი ის ფაქტია, რომელსაც გვერდს ვეღარ ავუვლით. ჩვენ ამ შემთხვევის დეტალები არ გვაინტერესებს (ვინ ვის ჩასჩურჩულა ყურში უხამსი სიტყვები) ისევე, როგორც არ გვაინტერესებს ვინ უფრო უცოდველი გახლდათ ამ დღეს — დინამოელი მ. ქორქია თუ ბურევესტნიკელი ი. ლეჟავა. მთავარი ეს კი არაა, არამედ ის, რომ დღისით, მზისით, ათასობით მაყურებლის თანდასწრებით ერთმა კალათბურთელმა (ლეჟავამ), წიხლი ჩასცა მეორეს (ქორქიას) და ამით საზოგადოებრიობის სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურა.

თავს ნუ ვიტყუებთ და ვაღიაროთ სიმართლე. „ბურევესტნიკი“ დღეს „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ყველაზე უდისციპლინო კოლექტივია. რომელ გუნდს აქვს მიღებული ამდენი შენიშვნა? რომელ კოლექტივშია ამდენი დისკვალიფიცირებული და დასჯილი? სტუდენტთა მატჩების მსაჯობა არ სურს არავის, რადგან ეს ნიშნავს ყოველ კალათბურთელთან გაუთავებელ ლაპარაკს, უნაყოფო დისკუსიას და ნერვების აშლას.

გაიხსენეთ ბურევესტნიკელთა ნებისმიერი მატჩი: არბიტრის გადაწყვეტილება, როგორც წესი, უსწოროა, რადგან ამ ჩემპიონატში ყველას „ბურევესტნიკის“ წინააღმდეგ აქვს პირი შეკრული. გუნდი მტრების გარემოცვაშია და სიმართლეს ხმალამოწვდილი იცავს. ასეთმა პათოლოგიურმა განწყობამ სტუდენტებს ცუდი სამსახური გაუწია ამასწინანდელ ტურნეში. იგი მომავალშიც ხელს შეუშლის კოლექტივს, თუკი მან თავი არ დააღწია ამ გაუგებარი მისტიფიკაციის ტყვეობას.

გახსოვთ, ალბათ, „ბურევესტნიკს“ უამრავი გულშემატკივარი ჰყავდა თბილისში, გაცილებით მეტი, ვიდრე „დინამოს“. ეს არავის უკვირდა, რადგან „ბურევესტნიკი“ სტუდენტთა გუნდია, კალათბურთი კი ახალგაზრდების — სტუდენტთა საყვარელი სპორტია. გუნდმა დაკარგა ქომაგები და ჩვენ არც ეს გვიკვირს, რადგან თბილისელმა გულშემატკივრებმა ნამდვილი სპორტის ყადრი იციან. ბურევესტნიკელებს ერთი რამ უნდა მოვაგონოთ 28 თებერვლის სამარცხვინო მატჩიდან (შესაძლოა „ბრძოლის“ აზარტში შესულებს ამისთვის ყურადღება არც მიუქცევიათ): ამ დღეს, თბილისის სპორტის სასახლეში საყვარელი გუნდის მიმართ გულისწყრომას ხმამაღლა გამოხატავდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებიც. ამაზე მკაცრი განაჩენი ძნელი გამოსატანია.

# გაიმარჯვა „დუკლამ“

**ვიარეჯო.** პრაღის „დუკლას“ იუნიორმა ფეხბურთელებმა გამარჯვება მოიპოვეს XX საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირში. მათ დამატებითი შეხვედრა ანგარიშით 2:1 მოუგეს იტალიის „იუვენტუსს“ (ტურინი) და დაეუფლნენ პრიზს. მოსკოვის „ბურევესტნიკი“ შეჯიბრებას პირველ ეტაპზევე გამოეთიშა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# მეორედ

გრენობლში ჟ. კ. კილიმ ოქროს მედლები მოიპოვა სწრაფდაშვებაში, სპეციალურ და გიგანტურ სლალომში. მაგრამ სახელგანთქმულ სპორტსმენს მარტო მედლებს როდი ულოცავდნენ. ამ გამარჯვებით იგი მსოფლიოს თასის წლევანდელ გათამაშებაშიც საგრძნობლად დაწინაურდა და მეტოქეებისთვის თითქმის მიუწვდომელი გახდა.

ფრანგი მოთხილამურის დამარცხება თეორიულად მხოლოდ შვეიცარიელ ჯოვანოლის შეეძლო. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო, რომ კილის დარჩენილ ეტაპებზე არც ერთი ქულა არ მიეღო, ჯოვანოლის კი სამი სახეობა მაინც მოეგო.

და აი, მსოფლიო თასის მაძიებელი მოთხილამურე ვაჟები გრენობლიდან ოსლოს ჩავიდნენ, სადაც სპეციალურ და გიგანტურ სლალომში შეჯიბრება გაიმართა. ტურნირის ლიდერი აქაც ბრწყინვალედ გამოვიდა და მსოფლიოს თასის ბედიც საბოლოოდ. თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. კილიმ ზედიზედ მეორედ დაისაკუთრა ეს ძვირფასი ნადავლი.

რაც შეეხება ჯოვანოლის, გრენობლიდან ჩამოტანილ 91 ქულას მან ოსლოს ტრასებზე კიდევ 26 ქულა მიუმატა და 117 ქულით მტკიცედ ინარჩუნებს მეორე ადგილს.

III ადგილის ბედი კვლავ სასწორზეა. გრენობლის შემდეგ ავსტრიელი ნენინგი მესამე იყო. ოსლოში კი მისი ადგილი შვეიცარიელმა ბრუგმანმა დაიკავა. II და III ადგილზე გასულთა ვინაობა გაირკვევა მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ ეტაპებზე, რომლებიც საფრანგეთის, იუგოსლავიის, აშშ-ისა და კანადის ტრასებზე მოეწყობა.

ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ)



4-14 მარტი



წყალბურთი
სსრ კავშირის ჩემპიონატი
4 მარტის შეხვედრათა კალენდარი

17 ს. „დინამო“ (მოსკოვი) — კასპიის ფლოტილია (ბაქო).
18 ს. მოსკოვის უნივერსიტეტი — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი)
19 ს. სამხედრო - საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი)
20 ს. „დინამო“ (თბილისი)— „ბალტიკა“ (ლენინგრადი).
21 ს. „დინამო“ (ლვოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი).

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 7 უე 03158